



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 90

2022 წლის 27 მაისი

ქ. თბილისი

2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2022 წლის 27 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N546618) შესაბამისად

გბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2022 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“.
2. დამტკიცდეს სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ (შემდგომში კონკურსი) პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს კონკურსის კრებვითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსის პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს ცნობა თანადაფინანსების შესახებ ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კონკურსის პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ ამ ბრძანების დანართი N8 შესაბამისად;
10. დამტკიცდეს საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N9 შესაბამისად;

11. დამტკიცდეს კონკურსის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვროს მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი, ეკატერინე მიქაუტაძე;
13. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
14. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

